შპს „კირკიტაძე და კომპანია“, საქართველო, თბილისი, პეკინის ქ.№27
ტელ: +995 32 237 46 49 მობ. + 995 99 56 22 76
LTD "KIRKITADZE & COMPANY" Georgia, Tbilisi, pekini str: N:27 tel: +995 32 2374649

# ქ. თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა №29ა, ს/კ:81.21.05.655

## ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

## საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში



ქ. თბილისი 2026 წ.

# სარჩევი


1. ტექნიკური დავალება ..... 3

2. ჩასატარებელი კვლევის პროგრამა ..... 4

3. შესავალი ..... 5

4. საკვლევი რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ..... 6

5. რაიონის ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პირობები ..... 6

6 . კლიმატური პირობები ..... 7

7. გეომორფოლოგია ..... 12

8. გეოლოგიური შესწავლილობის ისტორია ..... 13

9. გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა ..... 14

10. ჰიდროგეოლოგია ..... 16

11. სეისმურობა ..... 17

12. გეოდინამიკა ..... 18

13. საინჟინრო–გეოლოგიური პირობები ..... 19

14. დასკვნები და რეკომენდაციები ..... 22

15. გამოყენებული ლიტერატურა ..... 25

16. გრუნტების ფიზიკურ-მექნიკური მახასათებლების კრებსითი ცხრილი ..... 26

17. ტოპო-გეგმა ..... 43

18. ლითოლოგიური სვეტები ..... 44

19. გეოლოგიური ჭრილი 47

20. წყლის ანალიზი 50

20 . ფოტო 53

# ტექნიკური დავალება

## საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

**1. ობიექტის დასახელება** – ქ. თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა №29ა, ს/კ:81.21.05.655 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა;

**2. დამკვეთი –** მერაბ მერაბიშვილი ;

**3. ობიექტის მდებარეობა –** ქ. თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა №29ა, ს/კ:81.21.05.655;

**4. დაპროექტების სტადია –** სამუშაო პროექტი;

**5. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით –** II;

**6. ობიექტის ტექნიკური დახასიათება –** ორსართულიანი სახლი;

**7. საძირკვლის სავარაუდო ტიპი –** ლენტურ - წერტილოვანი, რკინაბეტონის ფილა;

**8. ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შენობის დაფუძნების პირობების შესწავლის მიზნით;**

**9. საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში წარმოდგენილი იქნას ერთ ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია;**

პროექტის არქიტექტორი: ..... /ლ. ქობულია/

06/03/2026

## ჩასატარებელი კვლევის პროგრამა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა საფუძველზე:

ს.ნ. და წ. 1.02.07–87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის); პ.ნ. 02.01.– 08 (შენობა–ნაგებობების ფუძეები); პ.ნ 01.01.– 09 (სეისმომედეგი მშენებლობა); ს.ნ და წ. IV-5 – 82 (მიწის სამუშაოები); ს.ნ. და წ. 3.02.01.– 87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები); სახსტანდარტი 25100–95 (გრუნტების კლასიფიკაცია);

**ჩასატარებელი კვლევის მიზანი:** ქ. თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა №29ა, ს/კ:81.21.05.655 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური პირობების გამოკვლევა.

დასახული ამოცანის შესასრულებლად უნდა შესრულდეს შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

1. სამშენებლო მოედანზე გაყვანილ იქნას სათანადო სიღრმის 3 ჭაბურღილი, თითოეული 8 მ, საერთო სიგრძით 24 გრძ/მ;
2. სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნას ნიმუშები (ს.ნ. და წ. 01.02.07–87 მოთხოვნებით) და ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეულ იქნას სინჯი;
3. გრუნტის წყლის გამოვლენის შემთხვევაში აღებულ იქნას წყლის სინჯი;
4. ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგეს ტექნიკური ანგარიში და აიკინძოს 1 ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია;

ინჟინერ–გეოლოგი: გ. ბეგაშვილი

## ქ. თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა №29ა, ს/კ:81.21.05.655

## ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

## საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში

## შესავალი

მერაბ მერაბიშვილის დავალებით შპს „კირკიტაძე და კომპანია"-ს მიერ, ჩატარებული იქნა ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით (2026 წლის 9 -23 მარტი).

კვლევა–ძიების მიზანს წარმოადგენს:

(შენობის) საინჟინრო-გეოლოგიური პირობების კვლევასთან დაკავშირებით მოედნის გეოლოგიური აგებულების პირობების შესწავლა;

სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა:

ინჟინერ–გეოლოგი: გიორგი ბეგაშვილი;

ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

1. მოძიებულია და გამოყენებულია საფონდო მასალები;

2. უბნის საინჟინრო–გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერდა მიმდებარე ტერიტორია და ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად გაყვანილ იქნა 3 ჭაბურღილი, თითოეული 8 მ, საერთო სიგრძით 24 გრძ/მ; ბურღვა ჩატარდა „სვეტური" ბურღვის მეთოდით. ნიმუშების აღება განხორციელდა საბურღი დაზგით „გბუ-30M", 127 მმ დიამეტრით;

3. გრუნტის ფიზიკური–მექანიკური თვისებების შესასწავლად სამთო გამონამუშევრებიდან აღებულ იქნა 4 ნიმუში ლაბორატორიული კვლევებისთვის რომელიც ჩატარდა შ.პ.ს „კირკიტაძე და კომპანია"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში;

4. საკვლევ ობიექტზე გრუნტის წყალი გამოვლინდა 2.50 მ-ზე, რომელიც შემდგომ 0.80 მ-ზე დამყარდა. მისი ქიმიური ანალიზი ჩატარდა შპს „წყალი და გრუნტი"-ს საგამოცდო ლაბორატორიაში;

5. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით;

6. განსაზღვრულ იქნა: გრუნტის ტიპი, ფიზიკური თვისებები, მექანიკური თვისებები;

წინამდებარე დასკვნა შედგენილია საველე სამუშაოების, საფონდო მასალების და ლაბორატორიული კვლევის მონაცემების საფუძველზე;

კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნარმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად:

1. ს.ნ. და წ. 1.02.07–87 „საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის“;
2. პ.ნ. 02.01.– 08 „შენობა–ნაგებობების ფუძეები“;
3. ს.ნ და წ. IV- 5 – 82 „მიწის სამუშაოები“;
4. ს.ნ. და წ. 3.02.01.– 87 „მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები“;
5. სახსტანდარტი 25100–95 „გრუნტების კლასიფიკაცია“;

მიღებული შედეგები წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილი ანგარიშის სახით, სადაც გარდა ტექსტური ნაწილისა მოცემულია: გეოლოგიური ჭრილები, ლითოლოგიური სვეტები, ტოპოგეგმა.

## საკვლევი რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

ქ. თბილისი და მისი მიდამოები მდ. მტკვრის ორთავე მხარეზე თბილისის ქვაბულშია მოქცეული. თვით ქალაქი ძირითადად ქვაბულის ფსკერზეა განლაგებული და ჩრდილოეთის განედის $42^{0},41^{I}$ და აღმოსავლეთ გრძედის $44^{0},47^{I}$ – ზე მდებარეობს. ქალაქი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია თრიალეთის ქედის აღმოსავლური განშტოებებით, აღმოსავლეთის საზღვარი გადის ყეენის, ძეძვის და მახათას მთებზე. ჩრდილოეთით თბილისი შემოიფარგლება საგურამოს ქედის სამხრეთ მთისწინეთით, ხოლო სამხრეთით - თელეთის ქედით.

## რაიონის ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პირობები

ქ. თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით. მან გამოიწვია ლანდშაფტის შემადგენელი ცალკეული კომპონენტების და მთლიანად ლანდშაფტის ნაირგვაროვნება, რომელიც გამოიხატა აქ ორი ძირითადი ტიპისა და ერთიქვეტიპის გავრცელებაში.

თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით მთიან ნაწილებში მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან.

თბილისის მიდამოების შიგა წყლების ხასიათი მჭიდრო კავშირშია მის კლიმატურ და რელიეფურ პირობებთან. ატმოსფერული ნალექები და მთლიანად აქაური ჰავა არ არის ხელსაყრელი კარგად განვითარებული ჰიდროგრაფიული ქსელის შექმნისთვის: თოვლის ნადნობი წყალი, აგრეთვე წვიმის სახით მოსული ნალექები და გრუნტის წყლები ვერ უზრუნველყოფენ თბილისის მიდამოების მდინარეების კვებას მთელი წლის განმავლობაში.

ჰიდროგრაფიული ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია და, მარცხენანაპირეთთან შედარებით, ნორმალურად არის განვითარებული: მდინარეებს ვიწრო ხეობა, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ. მარცხენანაპირეთში სუსტად განვითარებული მეჩხერი ქსელია, მდინარეები ვაკის ტიპისაა, ფართო კალაპოტიანი. თბილისის ჰიდროგრაფიული ქსელისთვის ნიშანდობლივია მშრალი ხევ-ხეობების სიუხვე, განსაკუთრებით ბევრია ის მარცხენანაპირეთში. განხილული ტერიტორიის ძირითადი არტერიაა მდ. მტკვარი.

## საკვლევი რაიონის კლიმატური პირობები

გამოკვლეული უბანი შედის ქვემო ქართლის ბარის მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით (სამშენებლო კლიმატური - $III_8$ ქვერაიონი). უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12,4$^0$C. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0,5$^0$C. ყინვები შესაძლებელია ნოემბრიდან მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია -23$^0$C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა 24,2$^0$C საშუალო ტემპერატურით. დაფიქსირებული მაქსიმალური ტემპერატურაა 40$^0$C.

საკვლევი რაიონის შესაბამისი კლიმატური პირობების მიმოხილვაში მოყვანილია ამ ტერიტორიის ჰავის დახასიათებები. კლიმატის ელემენტების

მახასიათებლები აღებულია სნ. და წ. პნ. 01.05-08 „საამშენებლო კლიმატოლოგია“-ში მოცემული მონაცემებიდან.“

ქვემოთ ცხრილებში მოგვყავს კლიმატის ელემენტების ნორმატიული და საანგარიშო მახასიათებლების სიდიდეები.

## კორდინატები, ბარომეტრული წნევა

ცხრილი 1

| პუნქტი | კოორდინატები | | | ბარომეტრული წნევა (ჰპა) |
|---|---|---|---|---|
| | გეოგრაფიული განედი (გრადუსი, მინუტი) | გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი, მინუტი) | სიმაღლე ზღვის დონიდან (მ) | |
| ვარკეთილი | $41^0$48 | $44^0$48 | 441 | 970 |

## სამშენებლო-კლიმატური რაიონის მახასიათებლები

ცხრილი 2

| კლიმატური რაიონი | კლიმატური ქვერაიონი | იანვრის საშუალო ტემპერატურა, $^0$C | ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წმ | ივლისის საშუალო ტემპერატურა, $^0$C | ივლისის ფარდობითი ტენიანობა, % |
|---|---|---|---|---|---|
| IIIგ | 0-დან +2-მდე | - | +25-დან +28-მდე | 0-დან +2-მდე | - |

## სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

ცხრილი 3

| პუნქტი | კლიმატური რაიონი და ქვერაიონი |
|---|---|
| ვარკეთილი | IIIგ |

## ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი შ და ჯამური რადიაცია Q, კვტ.სთ/მ$^2$ თვეში

ცხრილი 4

| პუნქტი | იანვარი | | აპრილი | | ივლისი | | ოქტომბერი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | S | Q | S | Q | S | Q | S | Q |
| ვარკეთილი | 22 | 49 | 74 | 135 | 125 | 195 | 53 | 92 |

## მზის პირდაპირი S და ჯამური Q რადიაცია ჰორიზონტალური და α კუთხით დახრილი სამხრეთის ორიენტაციის ზედაპირზე, კვტ·სთ/მ$^2$ დღეში

ცხრილი 5

| პუნქტი | პირდაპირი რადიაცია S | | | | | | | | ჯამური რადიაცია Q | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | იანვარი | | აპრილი | | ივლისი | | ოქტომბერი | | იანვარი | | აპრილი | | ივლისი | | ოქტომბერი | |
| | ჰ.ზ. | α=65$^0$ | ჰ.ზ. | α=30$^0$ | ჰ.ზ. | α=10$^0$ | ჰ.ზ. | α=50$^0$ | ჰ.ზ. | α=65$^0$ | ჰ.ზ. | α=30$^0$ | ჰ.ზ. | α=10$^0$ | ჰ.ზ. | α=50$^0$ |
| ვარკეთილი | 0,7 | 1,7 | 2,5 | 2,8 | 4,0 | 4,1 | 1,7 | 2,7 | 1,6 | 2,4 | 4,5 | 5,0 | 6,3 | 6,4 | 3,0 | 4,0 |

## ვერტიკალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაცია S, კვტ·სთ/მ$^2$ თვეში

ცხრილი 6

| პუნქტი | იანვარი | | | | | აპრილი | | | | | ივლისი | | | | | ოქტომბერი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს |
| ვარკეთილი | 0 | 0,4 | 12 | 35 | 49 | 0,7 | 14 | 33 | 42 | 40 | 8 | 31 | 54 | 48 | 32 | 0 | 5 | 26 | 53 | 69 |

*აღნიშვნები: ჩ – ჩრდილოეთი, ჩა – ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი, ა – აღმოსავლეთი, დ – დასავლეთი, სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი, სდ – სამხრეთ დასავლეთი, ს – სამხრეთი.*

## ვერტიკალურ ზედაპირზე მზის ჯამური რადიაცია Q, კვტ·სთ/მ² თვეში

ცხრილი 7

| პუნქტი | იანვარი | | | | | აპრილი | | | | | ივლისი | | | | | ოქტომბერი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს | ჩ | ჩა, ჩდ | ა, დ | სა, სდ | ს |
| ვარჯეთილი | 18 | 18 | 29 | 54 | 69 | 45 | 57 | 74 | 85 | 84 | 62 | 84 | 102 | 100 | 88 | 28 | 33 | 53 | 86 | 101 |

*აღნიშვნები: ჩ – ჩრდილოეთი, ჩა – ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი, ა – აღმოსავლეთი, დ – დასავლეთი, სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი, სდ – სამხრეთ-დასავლეთი, ს – სამხრეთი.*

## მზის პირადპირი და გაბნეული რადიაცია ჰორიზონტალური და ვერტიკალურ ზედაპირზე ივლისში, კვტ·სთ/მ²

ცხრილი 8

| ორიენტაცია | ორიენტაცია მხარეების მიხედვით | განედი, გრა-დუსი | დღის საათები მზის ჭეშმარიტი დროით | | | | | | | | | | | | | | | | დღის ჯამი $\frac{\sum S}{\sum D}$ | $\frac{\sum S+\sum D}{24}$ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 0-4 | 4-5 | 5-6 | 6-7 | 7-8 | 8-9 | 9-10 | 10-11 | 11-12 | 12-13 | 13-14 | 14-15 | 15-16 | 16-17 | 17-18 | 18-19 | 19-24 | | |
| ჰორიზონტა-ლური | - | **41** | - | 0,002 | 0,06 | 0,17 | 0,34 | 0,51 | 0,63 | 0,74 | 0,78 | - | - | - | - | - | - | - | - | 6,46 | 0,333 |
| | | | | 0,003 | 0,05 | 0,08 | 0,10 | 0,12 | 0,13 | 0,14 | 0,14 | | | | | | | | | 1,52 | |
| ვერტიკალუ-რი | ჩრდილოეთი | **41** | - | - | 0,11 | 0,10 | 0,04 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 0,50 | 0,072 |
| | | | | 0,001 | 0,05 | 0,10 | 0,11 | 0,10 | 0,09 | 0,08 | 0,08 | | | | | | | | | 0,22 | |
| ვერტიკალუ-რი | სამხრეთი | **41** | - | - | - | - | 0,002 | 0,07 | 0,16 | 0,24 | 0,27 | - | - | - | - | - | - | - | - | 1,48 | 0,115 |
| | | | | | 0,03 | 0,07 | 0,10 | 0,11 | 0,11 | 0,11 | 0,11 | | | | | | | | | 1,28 | |
| ვერტიკალუ-რი | ჩრდ-აღმოსავ-ლეთი, ჩრდ-დასავლეთი | **41** | - | 0,02 | 0,21 | 0,40 | 0,43 | 0,33 | 0,19 | 0,05 | - | - | - | - | - | - | - | - | - | 1,63 | 0,122 |
| | | | | 0,001 | 0,07 | 0,13 | 0,15 | 0,14 | 0,11 | 0,10 | 0,09 | 0,09 | 0,09 | 0,08 | 0,08 | 0,08 | 0,06 | 0,03 | | 1,30 | |
| ვერტიკალუ-რი | აღმოსავლეთი, დასავლეთი | **41** | - | 0,02 | 0,27 | 0,49 | 0,56 | 0,55 | 0,45 | 0,28 | 0,10 | - | - | - | - | - | - | - | - | 2,72 | 0,172 |
| | | | | 0,003 | 0,07 | 0,15 | 0,18 | 0,17 | 0,13 | 0,11 | 0,10 | 0,09 | 0,08 | 0,08 | 0,08 | 0,07 | 0,06 | 0,03 | | 1,40 | |
| ვერტიკალუ-რი | სამხ-აღმოსავ-ლეთი, სამხ-დასავლეთი | **41** | - | - | 0,07 | 0,23 | 0,37 | 0,44 | 0,43 | 0,36 | 0,26 | 0,13 | 0,01 | - | - | - | - | - | - | 2,30 | 0,151 |
| | | | | | 0,05 | 0,12 | 0,15 | 0,15 | 0,13 | 0,11 | 0,10 | 0,10 | 0,09 | 0,08 | 0,08 | 0,07 | 0,06 | 0,03 | | 1,32 | |

## მზის ამოსვლისა (ა) და ჩასვლის (ჩ) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)

ცხრილი 9

| განედი, გრადუსი | ორიენტაცია მხარეების მიხედვით | იანვარი | თებერვ. | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბ. | ოქტომბ. | ნოემბერი | დეკემბ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **41** | ა | 7.22 | 6.54 | 6.12 | 5.22 | 4.43 | 4.27 | 4.40 | 5.09 | 5.39 | 6.11 | 6.48 | 7.17 |
| | ჩ | 16.56 | 17.34 | 18.06 | 18.38 | 19.09 | 19.33 | 19.32 | 19.01 | 18.11 | 17.21 | 16.40 | 16.32 |

## მზის სიმაღლე შუადღისას თვის 15 რიცხვისათვის, გრად.

ცხრილი 10

| განედი, გრადუსი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 41 | 27.8 | 35.9 | 46.8 | 58.7 | 67.8 | 72.3 | 70.6 | 63.2 | 52.1 | 40.6 | 30.6 | 25.7 |

## ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდები

ცხრილი 11

| პუნქტი | თვის საშუალო, °C | | | | | | | | | | | | თვის მაქსიმალური, °C | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
| ვარკეთილი | 6,1 | 6,9 | 8,2 | 9,1 | 9,5 | 10,3 | 10,8 | 10,4 | 9,0 | 8,0 | 6,4 | 6,1 | 17,4 | 18,2 | 19,5 | 20,4 | 20,8 | 21,6 | 22,1 | 21,7 | 20,3 | 19,4 | 17,7 | 17,4 |

## ჰაერის ტემპერატურა

ცხრილი 12

| პუნქტი | გარე ტემპერატურა, °C | | | | | | | | | | | | | | | | | პერიოდი <8°C საშუალო თვიური ტემპე-რატურით | | საშუალო ტემპერატურა 13 სთ-ზე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თვის საშუალო | | | | | | | | | | | | წლის საშუალო | აბსოლუტური მინიმუმი | აბსოლუტური მაქსიმუმი | ცხელ თვის საშუალო მაქსიმუმი | ცივ ხუთწლიური საშუალო | ცივ დღის საშუალო | ცივ პერიოდის საშუალო | | | | |
| | თვეები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | | | | | | | | | | ხანგრძლივობა | საშუალო ტემპერატურა | ცხელ ცივ თვისათვის | ცხელ ცხელ თვისათვის |
| ვარკეთ. | -0,6 | 1,6 | 4,4 | 9,7 | 15,0 | 18,8 | 22,1 | 22,2 | 17,7 | 12,3 | 6,2 | 1,5 | 10,8 | -24 | 38 | 27,9 | -9 | -12 | -0,7 | 153 | 2,4 | 1,3 | 25,9 |

## ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

ცხრილი 13

| პუნქტი | გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, % | | | | | | | | | | | | საშ. ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე | | ფარდ. ტენიანობის საშ. დღეღამ. ამპლიტუდა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წლის საშუალო | ყველაზე ცივი თვის | ყველაზე ცხელ თვის | ყველაზე ცივი თვის | ყველაზე ცხელ თვის |
| ვარკეთილი | 74 | 72 | 68 | 66 | 68 | 62 | 59 | 57 | 65 | 73 | 77 | 75 | 68 | 68 | 43 | 11 | 26 |

## გარე ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ჰპა

ცხრილი 14

| პუნქტი | იანვარი | თებერვ. | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბ. | ოქტომბ. | ნოემბერი | დეკემბერი | წლის საშუალო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვარკეთილი | 4,6 | 4,8 | 5,5 | 7,9 | 11,5 | 13,6 | 15,4 | 14,8 | 12,9 | 10,1 | 7,6 | 5,8 | 9,5 |

## ნალექების რაოდენობა

ცხრილი 15

| პუნქტი | ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ | ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ |
|---|---|---|
| ვარკეთილი | 550 | 154 |

## ირიბი წვიმების რაოდენობა, განაწილება ორიენტაციების მიხედვით

ცხრილი 16

| პუნქტი | ირიბი წვიმების რაოდენობა, მმ-ში | | | ირიბი წვიმების განაწილება ორიენტაციების მიხედვით, მმ/% | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თვის მაქსიმუმი | თბილ პერიო-დისათვის | წელიწადში | ჩ | ჩა | ა | სა | ს | სდ | დ | ჩდ |
| ვარკეთილი | 91 | 400 | 520 | - | - | - | - | - | - | - | - |

## თოვლის საფარი

ცხრილი 17

| პუნქტი | თოვლის საფარის წონა, კპა | თოვლის საფარის დღეთა რიცხვი | თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ |
|---|---|---|---|
| ვარკეთილი | 0,50 | 21 | - |

## ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები

ცხრილი 18

| პუნქტი | | |
|---|---|---|
| ვარკეთილი | 0.30 | 0.48 |

## ქარის მახასიათებლები

ცხრილი 19

| პუნქტი | ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ მ/წმ | | | | | ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი | | | | | | | | ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ | | ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 5 | 10 | 15 | 20 | ჩ | ჩა | ა | სა | ს | სდ | დ | ჩდ | იანვარი | ივლისი | ჩ | ჩა | ა | სა | ს | სდ | დ | ჩდ | შტილი |
| ვარკეთილი | 21 | 23 | 27 | 28 | 29 | 10/18 | 1/2 | 1/4 | 22/27 | 5/6 | 7/3 | 5/2 | 49/38 | 5,6/1,7 | 6,7/2,7 | 10 | 1 | 3 | 32 | 7 | 5 | 3 | 39 | 22 |

## გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

ცხრილი 20

| პუნქტი | თიხოვანი და თიხნარი | წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი | მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის | მსხვილნატეხი |
|---|---|---|---|---|
| ვარკეთილი | 18 | 22 | 23 | 27 |

## საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკა

სქემა №1



## გეომორფოლოგია

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული გეოლოგიური (ტექტონიკურ, ლითოლოგიური) აგებულებისაა, მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვარია. ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთისა და მარცხენანაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენაპირეთის შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ – ხეობებით, უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით.

თბილისის მიდამოებისთვის დამახასიათებელი ტერასული ზედაპირები მარჯვენაპირეთში ნაკლებად არის შემორჩენილი. სხვა სურათია მარცხენ-ანაპირეთში: პირველესად მას მარჯვენანაპირეთთან შედარებით დაბალი მდგომარეობა აქვს, რელიეფი უფრო ნაზია, უმეტესად დანაწევრებულია ნაკლებად ღრმა მშრალი ხევებით და ხრამებით. ამ ნაწილში ფართოდაა გავრცელებული მდ. მტკვრის ტერასები, რომელნიც რელიეფს ერთგვარ საფეხურებრივ ხასიათს ამლევს. ტექტონიკური სტრუქტურები რელიეფში მკვეთრად არ არის გამოხატული, ისინი მეტწილად დაფარულია ალუვიური ნალექებით. თბილისის მიდამოებში არის რელიეფის მსხვილი ფორმები, რომელთა წარმოქმნაში წამყვანი როლი ტექტონიკურმა პროცესებმა შეასრულა: სხვადასხვა დროის ოროგენეტური მოძრაობების შედეგად აქ ჩაისახა და განვითარდა სინკლინური და ანტიკლინური ნაოჭები, შეიქმნა რელიეფის მსხვილი სტრუქტურული ფორმები.

საკვლევი ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისში თბილისის ზღვის სამხრეთ პერიფერიაზე. საპროექტო ტერიტორიას შემოსაზღვრულია მისასვლელი გზით და კერძო საკარმიდამო ნაკვეთებით.

სამშენებლო უბანი წარმოადგენს მცირე ქანობიანი რელიეფის მქონე ადგილს. გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი განთავსებულია საქართველოს ბელტის აღმოსავლეთ დაძირვის ზონაში და წარმოადგენს მუხრან-სამგორის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილს, რომელიც ხასიათდება დახრილი რელიეფით აღმოსავლეთისაკენ.

## გეოლოგიური პირობები

### გეოლოგიური შესწავლილობის ისტორია

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების სახით. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებს ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25 000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები 1990წ).

ქ. თბილისისთვის თანამედროვე გეოლოგიური პროცესის გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყრული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტურ მოძრაბების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „ თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949წ.

თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს პროფესორ გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: “ თბილისის საინჟინრო გეოლოგია” 1974წ.

გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები 1:50 000 მასშტაბში აღმოსავლეთ საქართველოში (ლიხის ქედამდე) ჩატარებულია 1985-1990 წლებში (მ. გამყრელიძე, თ. კოპაძე). ასევე უფრო ადრე ქართლის დეპრესიის გეოლოგიური აგებულების შესახებ საკითხები განხილულია ა. ჯანელიძის შრომებში (1970წ).

ჰიდროგეოლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები), ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200 000 სახელმწიფო12 ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატიენცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს ლ. მარუაშვილს (1971წ), დ. წერეთელს (1866წ), მ. ასტახოვს (1973წ) და სხვებს. აღნიშნულ კვლევებში დეტალურადაა

განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური ბუნება და რელიეფის ტიპები.

## გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება თრიალეთის ნაოჭა სისტემაში შემავალ მამადავითის ანტიკლინის ჩრდილო-აღმოსავლურ ფრთას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაძირვის ზონას.

ზონა მნიშვნელოვნად დანაოჭებულია, რომელიც უკავშირდება ლარამულ, თრიალეთურ, შტირიულ და როდანულ ოროგენეზისურ ფაზისებს. იგი რთულ ანტიკლინორიუმს წარმოადგენს, რომლის სიღრმეშიც განვითარებულია განედური სიღრმული რღვევები.

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემა (ე. გამყრელიძე 2000 წ.)

მასშტაბი: 1: 2 000 000 სქემა №2




გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორიის ძირითადი ქანები წარმოდგენილია შუა და ზედა ოლიგოცენური და ქვედამიოცენური ასაკის ქანებით. ლითოლოგიურად წარმოდგენილია თიხნარითა და კენჭნარი გრუნტით. დროთა განმავლობაში ტერიტორია შევსებულია ტექნოგენური ნაყარი გრუნტებით.

მიმდებარე ტერიტორიები ასევე აგებულია ალუვიური კონგლომერატებით, ქვიშანრით, თიხნარით, დელუვიურ პროლუვიური და ალუვიური ნალექებით, კენჭნარ-ხრეშოვანი და თიხოვანი გრუნტები.

თბილისი და მისი მიდამოები აგებულია მესამეული ასაკის ტერიგენული და ტუფოგენური ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეულ (მდინარეულ და ტბიურ) დანალექებს.

თბილისის მიდამოების მარცხენანაპირეთის რელიეფიც ძირითადად მესამეულის (მიოცენის) დანალექებით არის აგებული, მაგრამ არის ძველი ქანებიც და ცხადია ახალგაზრდაც. მარცხენანაპირეთის სამხრეთ ნაწილში, დაახლოებით "თბილისის ზღვის" სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის პარალელიდან სამხრეთით, გავრცელებულია ზედა ეოცენის თაბაშირიანი თიხები და ქვიშაქვები.

საქართველოს სქემატური გეოლოგიური რუკა (გამყრელიძე და სხვ. 2009 წ.)

მასშტაბი: 1: 2 000 000

სქემა №3




*1. მეოთხეული; 2. ნეოგენური; 3. პალეოგენური; 4. ცარცული; 5. იურული; 6. შუა პალეოზოურ-ტრიასული; 7. ნეოპროტეროზოურ-ქვედა პალეოზოური; 8. ნეოგენურ-მეოთხეული სუბაერული ვულკანიტები; 9. იურული გრანიტოიდები; 10. ნეოპროტეროზოური და პალეოზოური გრანიტოიდები; 11. რღვევები; 12. შარიაჟების ფრონტალური ხაზები; 13. საქართველოს სამხედრო გზა.*

## ჰიდროგეოლოგიური პირობები

რაიონის მთავრი ჰიდროგრაფიული ერთეული მდინარე მტკვარია. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და ადხრილობა ახასიათებთ.

**საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკა**

მასშტაბი: 1: 2 000 000 **სქემა №4**




მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება ატმოსფერული ნალექებით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირეობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი რაიონი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთ დაძირვის უბანს, სადაც მიწისქვეშა წყლების ზონალობის მიხედვით გამოიყოფა არაღრმა ცირკულაციის გრუნტის წყლები და ღრმა ცირკულაციის დაწნევითი წყლები. გრუნტის წყლები გავრცელებულია ძირითადი წყალშემცველი კომპლექსების გამოფიტვის ზონაში, ხოლო დაწნევითი წყლები მათ ნაპრალებში და ფენებში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები: _ მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები; _ ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები; _ შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყაროების დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანიან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხოვან ნალექებში.

მდინარე მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით. მდინარეების მტკვრის და იორის მარჯვენა ნაპირის მაღალი ტერასები თითქმის უწყლოა, იშვიათად ძირითადად ქანების კონტაქტზე გვხვდება მაღალი მინერალიზაციის გრუნტის წყლები სულფატურ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობის და მცირე დებიტიანი. ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები გავრცელებულია შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექ და ზედა ცარცულ კარბონატულ დასტებთან.

აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული სხვადასხვა მინერალიზაციის წყლები.

შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ უბანზე სამთო გამონამუშევრებში (ჭაბურღილი) გრუნტის წყალი გამოვლინდა 2.50 მ-ზე, რომლის დამყარებაც მოხდა 0.80 მ-ზე.

## სეისმუროზა

ზონა განლაგებულია მაღალი სეისმური რისკის არეალში. საქართველოს მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, ამ ტერიტორიაზე განლაგებული დასახლებულ პუნქტებს (თბილისი, მცხეთა და სხვა) ემუქრებათ 8 ბალიანი

ინტენსივობის მიწისძვრა. არსებული სტატისტიკური მონაცემებით მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყნონ თანამედროვე საინჟინრო ნაგებობებს და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი როგორც ისტორიულ, ასევე უახლეს წარსულში. ქვემოთ ვიძლევით არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს საკვლევი უბნის უახლესი დასახლებული პუნქტებისათვის (მცხეთა, თბილისი).

**საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკა**

მასშტაბი: 1: 2000 000

სქემა №5




საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლესი სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში (ᲐᲜ 01.01-09 სეიმომედგე მშენებლობა), ხოლო ამგები გრუნტები ამავე დოკუმენტის №1 ცხრილით სეისმური თვისებების მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას. გამომდინარე აქედან მშენბლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სეისმუროობად მიღებულ იქნეს 8 ბალი 0,17 სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით.

## გეოდინამიკა

გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ „ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება 2019 წ.”-ის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია დაბალი გეოდინამიკური რისკის ზონაში.

**დაბალი** – ტერიტორიები, სადაც რელიეფი ძირითადად სწორია, დანაწევრების ხარისხი უმნიშვნელო. სუბტრატის ქანები გამოირჩევიან შედარებით მდგრადი მზიდი თვისებებით, მიწისქვეშა წყლები ძირითადად ღრმა ცირკულაციისაა, დატბორვებს ადგილი არა აქვს და სტიქიური გეოლოგიური პროცესები პრაქტიკულად არ ფიქსირდებიან და ტერიტორიის დაზიანების ხარისხი უმნიშვნელოა. მდინარეების გამოფიტვის ელუვიური პროცესები, განსაკუთრებით მთიანი ზონის პედიმენტების სივრცეში; მეოთხეულის ნალექებში ფორმირებული მიწისქვეშა წყლები არაღრმა ცირკულაციისაა, ადგილი აქვს შეტბორვას.

სარეკოგნოსცირო მარშრუტების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების მიერ ჩამოყალიბებული ან გართულებული რელიეფის ფორმები არ აღინიშნება. ტერიტორია გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით.

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორია მთლიანობაში საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07.87-ის მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.

## საინჟინრო–გეოლოგიური პირობები

(სპეციალური ნაწილი)

ადმინისტრაციულად საკვლევი უბანი მდებარეობს: **ქ. თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა №29ა, ს/კ:81.21.05.655;**

გრუნტების კლასიფიკაციის სახელმწიფო სტანდარტზე დაყრდნობით (სახ. სტანდარტი 25100-82) სმშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური რეკოგნოს-ცირების, სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური ჭრილების აღწერის, ამ ტერიტორიაზე აღებულ ნიმუშებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგების, ფონდური და ლიტერატურული მასალების ანალიზის საფუძველზე, ქვეყანაში სნ და წ-ის (ძირითადად სნ და წ 1.02.07.87) და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი იქნა წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში (ტექნიკური ანგარიში) სათანადო დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორიის გამოკვლევისას გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის ორი ფენა და ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

**ფენა 1 – ნიადაგის ფენა, მცენარეული ფესვების ჩანართებით ($Q_{IV}$);** გავრცელებულია ჩვენს მიერ შესწავლილ ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 0,40 - 0,50 მ ფარგლებში; დამუშავების სიძნელით, ს.ნ. და წ. IV- 5 – 82–ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება II ჯგუფს, §9[6] ;

**ფენა 2 – (სგე - 1) - თიხნარი რბილპლასტიკური კონსისტენციის, კაჭარ-კენჭნარის ჩანართებით ($pdQ_{IV}$);**

| № | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ | მაჩვ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | p | გ/სმ³ | 1,80 |
| 2 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | 14⁰ |
| 3 | ხვედრითი შეჭიდულობა | c | კგძ/სმ² | 0,140 |
| 4 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ² | 60 |
| 5 | საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ² | 1.40 |
| 6 | პუასონისდ კოეფიციენტი | m | - | 0.35 |

დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV- 5 – 82–ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება II ჯგუფს, §33[ბ];

გაბურღულ ჭაბურღილებში, გრუნტის წყლების დონე ფიქსირდება 2.50 მ-ზე, რომლის დამყარებაც მოხდა 0.80 მ-ზე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობისას.

**გრუნტის წყულის ქიმიური ანალიზის შედეგები:** საანალიზოდ გადმოცემული წყლის სინჯი აღებულია თბილისში, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩის N29ა-ს (ს/კ 81.21.05.655) მიმდებარე ტერიტორიაზე გაყვანილი ჭაბურღილიდან, 0.80 მ სიღრმიდან.

საერთო მინერალიზაციის სიდიდით, რომელიც M = 2.77 გ/ლ ტოლია, სინჯი მომლაშო წყლების (M > 2.77 გ/ლ) კატეგორიას მიეკუთვნება. ხოლო ქიმიური შედგენილობით სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიან ტიპს წარმოადგენს. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია (pH = 7.51).

აგრესიულობის თვალსაზრისით განსახილველი წყლის სინჯი სულფატების შემცველობის მხრივ პორტლანდცემენტის მარკის ბეტონის მიმართ „საშუალო“ და „სუსტ“ აგრესიულობას ავლენს, შესაბამისად W4 და W6 წყალშეღწევადობისას (იხ. აგრესიულობის ცხრილი). წიდაპორტლანდცემენტი და სულფატმედეგი მარკის ბეტონების მიმართ აგრესიულობას არ ავლენს. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯის აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც “არა”, ხოლო პერიოდული დასველებით – “სუსტი”. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც “საშუალო”.

**გრუნტის გაჯირჯვება-შეკლების ანალიზის შედეგები:** ჩატარდა ფენა 2-ის ლაბორატორიული კვლევა გაჯირჯვების და შეკლების თვისებების განსაზღვრის მიზნით. გრუნტების გაჯირჯვებადობის შეფასებისას დადგინდა, რომ ფარდობითი გაჯირჯვადობის მაჩვენებელი მერყეობს $ε_{გაჯ}$=0.012–0.027-ის ფარგლებში. აღნიშნული მნიშვნელობები ცხრილი №ბ17-ის მიხედვით ($0.08<ε_{გაჯ}<0.12$) მიუთითებს, რომ გრუნტი მიეკუთვნება საშუალოდ გაჯირჯვებადი გრუნტების კატეგორიას.

შეკლების თვისებების შეფასებისას მიღებულია, რომ ფარდობითი შეკლების მაჩვენებელი შეადგენს $ε_{შეკ}$=0.010–0.039-ს. ცხრილი №ბ18-ის მიხედვით აღნიშნული მნიშვნელობები თავსდება დიაპაზონში $0.03< ε_{შეკ}<0.07$, რაც მიუთითებს, რომ გრუნტი ხასიათდება საშუალო კუმშვადობით.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი გრუნტები მიეკუთვნება საშუალო რისკის მქონე გაჯირჯვებად ან საშუალოდ კუმშვად გრუნტებს და მათი საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები შეფასებულია, როგორც შედარებით სტაბილური.

## დასკვნები და რეკომენდაციები

1. ადმინისტრაციულად საკვლევი უბანი: მდებარეობს: **ქ. თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა №29ა, ს/კ:81.21.05.655;**

2. საკვლევი უბანი, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07-87 დანართი 10-ის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას;

3. ძირითადი საგები ფენის ფიზიკურ–მექანიკური თვისებების მახასიათებლებია:

**ფენა 2 – (სგე - 1) - თიხნარი რბილპლასტიკური კონსისტენციის, კაჭარ-კენჭნარის ჩანართებით (pdQIV);**

| № | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ | მაჩვ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | p | გ/სმ³ | 1,80 |
| 2 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | 14⁰ |
| 3 | ხვედრითი შეჭიდულობა | c | კგძ/სმ² | 0,140 |
| 4 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ² | 60 |
| 5 | საანგარიშო წინაღობა | R₀ | კგძ/სმ² | 1.40 |
| 6 | პუასონისდ კოეფიციენტი | m | - | 0.35 |

4. საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა" პნ 01.01.09-ს ცხრილის №-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართი 1-ის მიხედვით, სამშენებლო უბანი მიეკუთვნებიან 8 ბალიან ზონას, რადგან უბანზე გავრცელებული გრუნტები აღნიშნული ცხრილის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას;

5. ქვაბულის ფერდის მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტის მიღებული იქნეს სნ. და წ. 3.02.01-87 პ.პ. 3.11-3.15 პუნქტების მიხედვით და სნ და წ. III-4-80*-ის მე-9 თავის მიხედვით;

6. მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით ავღნიშნავ, რომ გრუნტის წყალი დაძიებულ სიღრმემდე არ გამოვლენილა;

7. სამშენებლო უბანზე გავრცელებული გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82 I-I ცხრილის მიხედვით მიეკუთვნება:

- ფენა 1 – დამუშავების სიძნელით ს.ნ. და წ. IV- 5 – 82–ის ცხრილის მიხედვით, გრუნტიმიეკუთვნება II ჯგუფს , § 9⁶ ;
- ფენა 2 – დამუშავების სიძნელით, ს.ნ. და წ. IV- 5 – 82–ის ცხრილის მიხედვით, გრუნტი მიეკუთვნება II ჯგუფს, §33ᵝ ; პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro= 1.40 კგძ/სმ².

7. გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება 2019 წ.-ის მიხედვით საკვლევი ტერიტორიის მოქცეულია დაბალი გეოდინამიკური რისკის ზონებში;

8. ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ფენა 2-ის (თიხა) ფარდობითი გაჯირჯვადობის მაჩვენებელი მერყეობს ɛგაჯ=0.012–0.027-ის ფარგლებში (საშუალოდ გაჯირჯვებადი), ხოლო ფარდობითი შეკლების მაჩვენებელი შეადგენს ɛშეკლ=0.010–0.039-ს (საშუალო კუმშვადობა). აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: ვინაიდან გრუნტი მოწყვლადია დასველება-გამოშრობის მიმართ, შენობის პერიმეტრზე უნდა მოეწყოს არანაკლებ 1.2-1.5 მ სიგანის წყალგაუმტარი სარინელი და გამართული სანიაღვრე სისტემა, რათა გამოირიცხოს ზედაპირული წყლების ჩაჟონვა ფუძეში. საძირკვლის ქვეშ მოეწყოს არაგაჯირჯვებადი მასალის (ხრეში ან ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი) დატკეპნილი ბალიში. ეს ფენა იმოქმედებს როგორც დამცავი ფენა გრუნტის შესაძლო მოცულობითი ცვლილებების (გაჯირჯვების) წინააღმდეგ. კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია) გაყვანისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კვანძების ჰერმეტულობას, რათა ავარიულმა გაჟონვამ არ გამოიწვიოს გრუნტის ლოკალური გაჯირჯვება და კონსტრუქციის არათანაბარი დეფორმაცია;

9. ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებისა და სველე სამუშაოების დროს საკვლევ ტერიტორიაზე არ აღინიშნება თანამედროვე საშიში გეოდინამიკური და გეოლოგიური პროცესები. ხელისშემშლელ ფაქტორს მხოლოდ გრუნტის წყალი წარმოადგენს, ამიტომ ქვემოთ გთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს.

10. საძირკვლის მოწყობისას, თხრილებიდან ან ქვაბულიდან საჭირო გახდება წყალქცევითი სამუშაოობის (ამოტუმბვა) ჩატარება, წყლის საორიენტაციო შემოდინება ქვაბულის 1 მ²-დან, ან თხრილის ყოველი გრძივი მეტრიდან, მიღებულ იქნეს 0,02 ლ/წმ. გათვალისწინებულ იქნას ტერიტორიაზე დრენაჟის მოწყობა, რათა შენობის საძიკვლები დაცულ იქნას გრუნტის წყლების ზემოქმედებისგან;

11. გრუნტის წყლის მაღალი დონის გამო სარდაფის მოწყობა რეკომენდირებული არ არის. აუცილებლობის შემთხვევაში რეკომენდირებულია მოეწყოს ჰიდროიზოლიაცია;

12. საძირკვლების ჩაღრმავება რეკომენდირებულია მიღებული იქნას არანაკლებ 0.40 მეტრ სიღრმეზე მიწის არსებული ზედაპირიდან. მიზანშეწონილია ფუძეში გამოყენებული იქნას ფენებრივად დატკეპნილი ნატეხოვანი მასა, (ღორღი, ბალასტი) ბალიშის სისქე განისაზღვროს შესაბამისი კონსტრუქციული გაანგარიშება გადაწყვეტილების მიხედვით. საძირკვლის ტიპი შერჩეულ იქნას კონსტრუქტორის მიერ.

13. გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეომორფოლოგიური და გეოდინამიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში, ხოლო საინჟინრო-გეოლოგიურ პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას;

14. ნაგებობის საძირკვლად შეიძლება შერჩეული იქნას ნებისმიერი ტიპი: (წერტილოვანი, ლენტური, მონოლითური და სხვა.) არსებული საძირკვლების ფუძედ გამოყენებული იქნას გრუნტი:

- **ფენა 2 – (სგე - 1) - თიხნარი რბილპლასტიკური კონსისტენციის, კაჭარ-კენჭნარის ჩანართებით (pdQIV);**

მისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების საფუძველზე.

ინჟინერ-გეოლოგი გ. ბეგაშვილი

## გამოყენებული მასალები

1. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1. გამომცემლობა ,,მეცნიერება", 1969, თბილისი.

2. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2. გამომცემლობა ,,მეცნიერება", 1970, თბილისი.

3. „საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემა" – 1970 წ. – ი. ბუაჩიძე;

4. საქ. ტექტონიკური დარაიონების სქემა" – 2000 წ. – ე. გამყრელიძე;

***

1. ს.ნ. და წ. 1.02.07–87 „საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";

2. პ.ნ. 02.01.– 08 „შენობა–ნაგებობების ფუძეები";

3. ს.ნ და წ. IV- 5 – 82 „მიწის სამუშაოები";

4. ს.ნ. და წ. 3.02.01.– 87 „მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";

5. სახსტანდარტი 25100–95 „გრუნტების კლასიფიკაცია";

# სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

# აკრედიტაციის მოწმობა

## GAC-TL-0365

ადასტურებს, რომ

## შპს „კირკიტაძე და კომპანია“-ს

## საგამოცდო ლაბორატორია

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №27

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია: 2025 წლის 15 ივლისი

ძალაშია: 2029 წლის 15 ივლისი

გენერალური დირექტორი

**სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი**

**15 / ივლისი / 2025 წ.**

KA990134391347825

№ **06/157**

## განკარგულება
## ა(ა)იპ „საერთაშორისო საშემფასებლო აკადემია“-ს პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს განმეორებითი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის N01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურების" საკ 1.1:2020 - „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მე-10 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, საკ 1.5:2020 – „წესები და პროცედურები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“ და საკ 1.10:2020 – „აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შშო-ების რეესტრის წარმოების წესი“-ის მე-3 მუხლის საფუძველზე,

1. ა(ა)იპ „საერთაშორისო საშემფასებლო აკადემია“-ს პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო დადებითად შეფასდეს საქართველოს სტანდარტთან ისო/იეკ 17024:2012/2014 შესაბამისობაზე და მიენიჭოს განმეორებით აკრედიტაცია.

2. გაიცეს აკრედიტაციის მოწმობა თანდართულ აკრედიტაციის სფეროსთან ერთად.

3.შესაბამისი ინფორმაცია შეტანილ იქნას აკრედიტებული შშო-ების რეესტრში და გამოქვეყნდეს აკრედიტაციის ცენტრის ვებგვერდზე www.gac.gov.ge.

4.ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საფუძველი:**

1. აკრედიტაციის კომიტეტის 2025 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება.
2. აკრედიტაციის ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის სამსახურის უფროსის თამარი ნონიაშვილის 2025 წლის 14 ივლისის **№562-01/GAC** მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-TL-0365**
განკარგულება № 06/156
თარიღი: 15.07.2025 წ.

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



# შპს „კირკიტაძე და კომპანია“-ს

# საგამოცდო ლაბორატორიის აკრედიტაციის სფერო

მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №27

| № | სეს/ესნ კოდი | გამოსაცდელი/ნიმუშის აღების პროდუქტი/მასალა | გამოცდების სახეობა | საკვლევი პარამეტრები | გამოცდის/ნიმუშის აღების მეთოდის იდენტიფიკაცია და დასახელება | მოქნილი სფერო/ტიპი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1 | | არაკლდოვანი გრუნტი | საცრული | გრანულომეტრიული შემადგენლობა | გოსტი 12536-2014 პ.4.2 | |
| | | | გრავიმეტრიული | ტენიანობა პლასტიკურობის ზედა ზღვარზე | გოსტი 5180-2015 პ.7 | |
| | | | გრავიმეტრიული | ტენიანობა პლასტიკურობის ქვედა ზღვარზე | გოსტი 5180-2015 პ.8 | |
| | | | ფიზიკური | სიმკვრივე | გოსტი 5180-2015 პ.9. | |
| | | | პიკნომეტრული | მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე | გოსტი 5180-2015 პ.13. | |
| | | | გამოთვლითი | სიმკვრივე ჩონჩხის | გოსტი 5180-2015 პ.12 | |
| | | | გრავიმეტრიული | ტენიანობა | გოსტი 5180-2015 პ.5 | |
| | | | მექანიკური | ფარდობითი კუმშვადობის კოეფიციენტი | გოსტი 12248.10-2020 პ.4 | |
| 1.2 | | კლდოვანი/ნახევრადკლდოვანი გრუნტი | მექანიკური | სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა (კონცენტრირებული) კუმშვაზე | გოსტი 12248.2-2020 | |

Poskytovatel zkoušení způsobilosti při SZK FAST | Z 7008
Fakulta stavební VUT v Brně | Ústav stavebního zkušebnictví | Veveří 331/95 | 602 00 | Brno
www.szk.fce.vutbr.cz | ptprovider.cz

FACULTY OF CIVIL ENGINEERING
institute of building testing

ilac-MRA Z 7008

# CERTIFICATE

of Participation in the Proficiency Testing Program

## ZZ 2025/1

Laboratory:

**KIRKITADZE AND COMPANY (LLC)**
Tbilisi, Pekini 27, Tbilisi, 0160, Georgia
Number of Testing Laboratory: -
**ID of Laboratory: 415768**

The laboratory took part in the Proficiency Testing Program focused on the evaluation of soil properties which was completed on January, 27th 2026. The subject of the testing were the following testing procedures:

1. EN ISO 17892-1 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 1: Determination of water content,
2. EN ISO 17892-3 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 3: Determination of particle density,
3. EN ISO 17892-4 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 4: Determination of particle size distribution, art. 5.2 (Sieving),
4. EN ISO 17892-4 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 4: Determination of particle size distribution, art. 5.3 (Densimetric analysis),
5. EN ISO 17892-5 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 5: Incremental loading oedometer test,
6. EN ISO 17892-7 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 7: Unconfined compression test,
7. CEN ISO/TS 17892-10 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 10: Direct shear tests,
8. EN ISO 17892-12 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 12: Determination of liquid and plastic limits, art. 5.3,
9. EN ISO 17892-12 Geotechnical investigation and testing - Laboratory testing of soil - Part 12: Determination of liquid and plastic limits, art. 5.4,
10. EN 13286-2 Unbound and hydraulically bound mixtures - Part 2: Test methods for laboratory reference density and water content - Proctor compaction,
11. EN 13286-47 Unbound and hydraulically bound mixtures - Part 47: Test method for the determination of California Bearing ratio, immediate bearing index and linear swelling.

Laboratory participated in testing methods: **1, 2, 3.**

The result evaluation of the proficiency testing program was conducted in accordance with ISO 5725-2: Accuracy (trueness and precision) of measurement methods and results. Laboratory proficiency in performing tests was assessed by *z*-score according to EN ISO/IEC 17043: Conformity assessment - General requirements for proficiency testing.

All tests conducted by this laboratory resulted in *z*-score values within the limit of 2 and for this reason the proficiency of the laboratory is found **satisfactory**.

A part of this certificate is the "Final Report on the Results of Interlaboratory Comparison - Proficiency Testing Program ZZ 2025/1".




Brno, January, 27th 2026

Assoc. Prof. Tomáš Vymazal, Ph.D.
The Head of PT Provider

შპს „კირკიტაძე და კომპანია“

გეოტექნიკური საგამოცდო ლაბორატორია
საქართველო, თბილისი, პეკინის ქ. №27
მობ: +995 599 56 22 76

LTD "KIRKITADZE &COMPANY"

Geotechnical Testing Laboratory
Georgia, Tbilisi, Pekini str. 27
Tel: +995 32 2374649
Cell: +995 599 56 22 76

## გამოცდის ოქმი 566

გაცემის თარიღი: 17/03/2026

| გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრა | |
|---|---|
| ობიექტის დასახელება | ქალაქი თბილისი, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩა #29ა, ს/კ 81.21.05.655 |
| დამკვეთი | კირკიტაძე და კომპანია |
| განაცხადის № | 566 |
| ნიმუშის მიღების აქტის № | 566 |
| ნიმუშის დასახელება | თიხნარი |
| ნიმუშის რაოდენობა და ლაბ. N | 4; 1393.BH.26; 1394.BH.26; 1395.BH.26; 1396.BH.26 |
| ნიმუშის ამღები | გელა ძაგანია |
| ნიმუშის მიღების თარიღი | 09/03/2026 |
| გამოცდის ჩატარების თარიღი | 09-17/03/2026 |
| ნორმატიული დოკუმენტის დასახელება, რის მიხედვითაც ტარდება გამოცდები | გოსტი-5180-2015 |

გამოცდის შედეგები ვრცელდება წარმოდგენილ ნიმუშზე;

გამოკვლევის შედეგები:

შპს „კირკიტაძე და კომპანია“

გეოტექნიკური საგამოცდო ლაბორატორია
საქართველო, თბილისი, პეკინის ქ. №27
მობ: +995 599 56 22 76

LTD "KIRKITADZE &COMPANY"

Geotechnical Testing Laboratory
Georgia, Tbilisi, Pekini str. 27
Tel: +995 32 2374649
Cell: +995 599 56 22 76

*საშუალო მნიშვნელობები - კრებსითი ცხრილი*

| ნიმუშის № | ნიმუშის ლაბ. № | ჭაბურღილი № | სიღრმე, მ | ტენიანობა % W | ტენიანობა პლასტიკურობის ზედა ზღვარზე % WL | ტენიანობა პლასტიკურობის ქვედა ზღვარზე % WP | პლასტიკურობის რიცხვი IP | სიმკვრივე, გ/სმ³ ρ | სიმკვრივე ჩონჩხის, გ/სმ³ ρd | სიმკვრივე მინერალური ნაწილაკების, გ/სმ³ ρs | დენადობის მაჩვენებელი IL | ფორიანობის კოეფიციენტი e | ფორიანობა, % n |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1393.BH.26 | 1 | 1.20-1.35 | 31.65 | 35.08 | 25.68 | 9.40 | 1.81 | 1.42 | 2.70 | 0.63 | 0.90 | 47.5 |
| 2 | 1394.BH.26 | 2 | 1.52-1.65 | 31.85 | 35.27 | 25.60 | 9.67 | 1.80 | 1.40 | 2.70 | 0.64 | 0.92 | 48.2 |
| 3 | 1395.BH.26 | 3 | 5.50-5.80 | 30.93 | 34.49 | 24.69 | 9.80 | 1.80 | 1.42 | 2.70 | 0.63 | 0.90 | 47.5 |
| 4 | 1396.BH.26 | 2 | 6.20-6.50 | 30.58 | 34.65 | 23.99 | 10.66 | 1.80 | 1.40 | 2.70 | 0.64 | 0.92 | 48.2 |
| გრუნტის ტიპი: | | | | თიხნარი რბილპლასტიკური კონსისტენციის, კაჭარ-კენჭნარის ჩანართებით | | | | | | | | | |

*შემსრულებელი:* *მ.ჯლანტიაშვილი*
*ლაბორატორიის ხელმძღვანელი:* *ი.მეტრეველი*

შპს „კირკიტაძე და კომპანია“

გეოტექნიკური საგამოცდო ლაბორატორია
საქართველო, თბილისი, პეკინის ქ. №27
მობ: +995 599 56 22 76

LTD "KIRKITADZE &COMPANY"

Geotechnical Testing Laboratory
Georgia, Tbilisi, Pekini str. 27
Tel: +995 32 2374649
Cell: +995 599 56 22 76

## ტენიანობა

| თარიღი | ნიმუშის ლაბ.№ | № | სინჯი № | ჭაბურღილი № | ნიმუშის ადების ინტერვალი, მ | ბიუქსი № | ბიუქსის მასა, m, გ | ტენიანი გრუნტის მასა | გამომშრალი გრუნტის მასა $m_0$, გ | ტენიანობა, W, % | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | ცალკეული ნიმუშის | საშუალო | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 09/03/26 | 1393.BH.26 | 1 | 1 | 1 | 1.20-1.35 | 1 | 18.35 | 43.25 | 37.28 | 31.54 | 31.65 | |
| | | | 2 | 1 | 1.20-1.35 | 2 | 18.20 | 45.89 | 37.19 | 31.76 | | |
| 09/03/26 | 1394.BH.26 | 2 | 1 | 2 | 1.52-1.65 | 1 | 18.35 | 42.82 | 36.90 | 31.91 | 31.85 | |
| | | | 2 | 2 | 1.52-1.65 | 2 | 18.20 | 44.28 | 37.96 | 31.80 | | |
| 09/03/26 | 1395.BH.26 | 3 | 1 | 3 | 5.50-5.80 | 1 | 18.35 | 35.69 | 32.19 | 30.94 | 30.93 | |
| | | | 2 | 3 | 5.50-5.80 | 2 | 18.20 | 35.52 | 32.04 | 30.92 | | |
| 09/03/26 | 1396.BH.26 | 4 | 1 | 2 | 6.20-6.50 | 1 | 18.35 | 36.26 | 32.68 | 30.60 | 30.58 | |
| | | | 2 | 2 | 6.20-6.50 | 2 | 18.20 | 36.01 | 32.44 | 30.56 | | |

*შემსრულებელი: მ.ჯლანტიაშვილი*

შპს „კირკიტაძე და კომპანია“

გეოტექნიკური საგამოცდო ლაბორატორია
საქართველო, თბილისი, პეკინის ქ. №27
მობ: +995 599 56 22 76

LTD "KIRKITADZE &COMPANY"

Geotechnical Testing Laboratory
Georgia, Tbilisi, Pekini str. 27
Tel: +995 32 2374649
Cell: +995 599 56 22 76

## ტენიანობა პლასტიკურობის ზედა ზღვარზე

| თარიღი | ნიმუშის ლაბ.№ | № | სინჯი № | ჭაბურღილი № | ნიმუშის აღების ინტერვალი, მ | ბიუქსი № | ბიუქსის მასა, m, გ | ტენიანი გრუნტის მასა | გამომშრალი გრუნტის მასა $m_0$, გ | ტენიანობა, W, % | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | ცალკეული ნიმუშის | საშუალო | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 11/03/26 | 1393.BH.26 | 1 | 1 | 1 | 1.20-1.35 | 3 | 13.10 | 39.26 | 32.45 | 35.16 | 35.08 | |
| | | | 2 | 1 | 1.20-1.35 | 4 | 13.10 | 38.19 | 31.68 | 35.02 | | |
| 11/03/26 | 1394.BH.26 | 2 | 1 | 2 | 1.52-1.65 | 3 | 13.10 | 39.52 | 32.63 | 35.31 | 35.27 | |
